

F 88
1915

კვირა, 3 მაისი 1915 წ.

ფანი 10 კპ.
გაზეთის
სამაგისტრო



მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 12

გამოდის ყოველ-კვირულად. მასალები გამოიგზავნება ამ ადრე-სთის ტიფლის, Типография Шрома, Теофила Болквадзе.



ომი მშვიდობიან ქალაქში.

ჩივილი

(ამ ლექსის კარიკატურა ვერ იხებდება დამოუკიდებელ მიზეზთა გამო).

საწყალო კაცი ჩიოდა:
ვერ გავიმართე წელშიო!
ყველა მე მაწევს ზურგზედა,
ყველა მე მიჭერს ყელშიო!
სინათლე აღარ მგელისა—
(დაეებებები ბნელშიო)
დღე ღამე ვჭრობობ, ოფლს ვღვრი,
გროშიც არა მაქვს ხელშიო.

ვაჭარმა, გაუმადლარმა—
ზურგზე გაამძრო ტყავიო,
მეზამულემ და ბატონმა—
შემჭამა (როგორც კრავიო).
მღვდელმა—დრამაში წამართვა—
თოხი, სახსისი, კავიო,
მამასახლისმა— მათრახით
დღე გამითენა შავიო.

ბუნებამ მეზი დამარტყა,
წამახხდა მოსაველიო,
კოლ-შვილი შიმშილს განიცდის,
თანაც დამეღვა ვალიო,
ვისთან მივიღე საშველად
(სად ენახო სამართალიო),
მდიდრები მუდამ მოიღბენს,
(ვთი საწყლების ბრალიო).



მოქალაქე.

ვაჭარი.

ქუთაისის „დრუჟინა“

ქუთაისის სამეცნიერო აკადემიის დიდი დარბაზი ხალხით იყო სავსე 2015 წელს 26 აპრილს. ოთხი უნივერსიტეტის, ორი პოლიტექნიკუმისა და ქალთა უნივერსიტეტის პროფესორებსა და ქუთაისის ყველა მეცნიერთ მოყვარათ თავი აკადემიის დარბაზში და ელოდნენ სახელოვან მეცნიერის რიონიდის ლექციას.

გამოვიდა მეცნიერი, ვაშლა ხელთ-ნაწერი და ასე დაიწყო ლექცია

ბატონებო! მოგეხსენებათ, რომ ასი წლის წინათ, ესე იგი 1914 წ. ვიღაც პრინციმმა მოჰკლა ავსტრიის ერცჰერცოგი ფერდინანდი და მისი მეუღლე. განსვენებულითა პატივსაცემთ ავსტრიამ მიონდომა პრინციპის სამშობლოს — სერბიის განადგურება. სერბიას მიემხრო რუსეთი, რუსეთს მიემხრო საფრანგეთი, ავსტრიას მიემხრო გერმანია, საფრანგეთს — ინგლისი, ინგლისს იაპონია, გერმანიას ოსმალეთი, ოსმალეთს — სპარსეთი, საფრანგეთს ბელგია. მერე კართაპორისო ომში ჩაერთვნენ: იტალია, საბერძნეთი, ბულგარია, რუმინია, ესპანია, პორტუგალია, შვეიცია და სხვა. რაღა თავი შეგაწყნოთ, მოგეხსენებათ, რომ 1915 წელს მთელ დედა-მიწის ზურგზე არ დარჩა არც ერთი სახელმწიფო, არც ერთი ქალაქი, რომ საერთაშორისო ომში არ ჩართულიყო. ისიც კარგათ მოგეხსენებათ, რომ სასტიკი ომის შედეგი ჩვენთვის ღმრთულ დაფარულია.

მეცნიერთა დიდი ხნის ცდა და მეცადინეობა ომის შედეგის გამოსაკლევით აქამდე ამაო და უნაყოფო გახლავთ.

ნუ გამატყუნებთ მეცნიერებს. საშინელმა ომმა მოსპო დედაიწის ზურგზე ხსენება წიგნებისა, ჟურნალ-გაზეთებისა, ბიბლიოთეკებისა... დაიხურა ყველა სასწავლებლები, გაწყდა ომში წერა-კითხვის მკობნი. ომმა წაღო კულტურა, სწავლა-განათლება, მეცნიერება...

1926 წელს დაიწყო ახალი ხანა კაობრიობისა. მეტყობის ნაბირას მდებარე ქალაქ ტფილისის (ზოგი მეცნიერი ამ ქალაქს თბილისს უწოდებდნენ) ნანგრევებში ერთმა კაცმა იპოვნა გოგებაშვილის წიგნი „დედა ენა“. ხალხმა კვლავ ისწავლა ანბანი, მერე კითხვა, წერა. კვლავ დაარსდა სტამბები, ჟურნალ-გაზეთები, გამოვიდა „მთარახი“, მერე „ახალი მთარახი“ და გაიჩაზა საქმე. აღორძინდა კვლავ მეცნიერება, დაიწყეს სწავლებებმა წარსულის კვლევა-ძიება, დანგრეულ ქალაქების განხრევა.

ბატონებო? მეც მივეყ ხელი ჩვენი წარსულის კვლევა-ძიებას და უწინდელ ქუთაისის ნანგრევებში

ვპოვე ერთი მეტათ საყურადღებო ხეობა ნაწერი. ძლივს გავაზრჩიე...

ამ ხელთ-ნაწერიდან სჩანს, რომ ასი წლის წინათ ქუთაისში დაარსდა ორი დრუჟინა. ერთი დრუჟინა წავიდა ჭოროხს ვაშლა და ომი აუტეხა თათრებს, ოა ქნა ამ დრუჟინამ, დაამარცხა თათრები, თუ თითონ დამარცხდა, ისტორიამ არა იცისრა.

მეორე დრუჟინის შესახებ უფრო ვრცელი მასალა აქვს ისტორიას, თუმცა ისტორიკოსები გოაცებულნი არიან, როგორ მოხდა, რომ მეოცე საუკუნეში, როდესაც ქუთაისში მთავრობდა იყო, პოლიციაც და საკმაო ჯარი, დაარსდა და მოქმედებდა დრუჟინა, რომელსაც ერთათ ერთი მიზანი ჰქონდა: მოიტაკებდნენ ხოლმე მდიდარ კაცს...

უკაცრავათ, ვატყობთ, რომ არ იცით, რას ეძახდნენ უწინ მდიდარს... ვეცდები, რომ აგისნათ... უწინ, ბატონებო, ქვეყანაზე იყო ფული... ვატყობთ, რომ არც ის იცით, თუ რა იყო ფული... ვეცდები ესეც აგისნათ როგორმე. ყველა სახელმწიფოში უწინ იყო ისეთი დაწესებულება, რომელიც დედა-მიწიდან ამოთხრილ ლითონს ადნობდა, აეთებდა ვერცხლისა, ოქროსი და სხვა ლითონის მორგებლო ნივთებს, ზედ ხატავდა წარჩინებულ მეფის სურათს, აწერდა წელიწადს და იი, ამ ნივთებს ეძახდნენ ფულს. რადგანაც ხალხი ძლიერ ბევრი იყო ქვეყანაზე და ოქრო და ვერცხლი და სხვა ლითონი კი ცოტა, ამიტომ მთავრობა ბეჭდავდა ქალღალის ფულსაც.

უცნაური ხანა იყო მაშინ დედამიწაზე. ვისაც ფული არა ჰქონდა, ან უნდა ეშრომა, რომ მისთვის ფული მიეცათ, ან ეს ფული უნდა მოეპარა. უკაცრავათ, დამაიწყულა. მთავრობის გარდა არავის არა ჰქონდა უფლება ფულის მოჭრისა და თუ ვინმე გაბედავდა ფულის მოჭრას, დაიჭერდნენ, ხელ-ფეხს შეუტყაოდნენ და გზავნიდნენ ერთ ცივ და ბნელ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდებოდა „სიმბირი“.

გასაოცარია, რა ბოროტება ხდებოდა იმ დროს, როცა ქვეყანაზე არსებობდა ფული, რომლის ნატამალიც და თვით ხსენებაც-კი, მაღლობდა დემროს, ეხლა სულ აღარ არის ქვეყანაზე.

ფულს იპარავდნენ, ფულის გულისათვის ადამიანს კლავდნენ, ვისაც ბევრი ფული ჰქონდა, ის ბევრს სჭამდა, ბევრს სვამდა, უფულით კაცს სჩაგრავდა. ვისაც ფული არა ჰქონდა, მშობიერი დადიოდა, აეადლებოდა და კვდებოდა.

და ვისაც ჰქონდა ფული, ყუთებში ინახავდა, არავინ მომპაროს.

რადგანაც ფულის მოპარვა ძლიერ გაჭირდა, ამიტომ დაარსდა ქუთაისში დრუჟინა, რომელმაც განიძრახა ფულიანი კაცის მოტაცება და ტყვეთ წაყვანა.

წარმოდგინეთ, ბატონებო, რომ ქუჩაში მი-
დისხარო. შემოვხვდა ეს ქუთაისის დრუეინა, მოგ-
კიდათ ხელი და წაგიყვანათ ტყეში. მერე გეუბნენ-
ბიან: სახლში თუ ბანკში (ფულის შესანახი ადგილი
იყო) რაც ფული გაქვს, ჩვენ უნდა მოგვცეო და თუ
არ მოგვეცი, ყელს გამოგვკრითო. რა თქმა უნდა,
რომ ფულის სიცოცხლე სჯობდა. ფულის დრუეინას
მისცემდი და შენ უფულოთ დარჩებოდი.

ჩემ მიერ ნაპოვნ ხელთ-ნაწერში მოთხრობილია
შემდგენი ამბები. უწინდელ ქუთაისში იყო ვინმე
ოცხელი. ამბობენ, ოცხელი მიტომ ერქვა, რომ
ოცი ხელი ჰქონდაო, ოცივე ხელით ოც წელი-
წადს ფულის აგროვებდა და ოცი ათასი თუმანი შე-
აგროვებდა. ეს ოცხელიანი და ოციათასი თუმანიანი
ოცხელი ოცმა კაცმა ქუთაისის დრუეინისამ დაიჭირა
და ტყვეთ წაიყვანა, მაგრამ არ მოჰკლა და ოცხელი
რადღაც მანქანებით სახლში დაბრუნდა. შერჩა თუ
არა ოცხელს ფული, ისტორიამ არ იცის. არც ის
ვიცი, რა დამართა მერე ქუთაისის დრუეინას.
სასტიკმა ომმა, მგონია, მოსპო ეს დრუეინაცა და
ის ფულიც, რომელიც დრუეინას ჰქონდა მოპოვე-
ბული მდიდარ ადამიანების დატყვევებით...

მეცნიერ რიონიმეს კიდევ უნდაღა განვგრძო
ლაპარაკი, მაგრამ სამეცნიერო აკადემიის დარბაზში
ისეთი ხარხარი ასტყდა, რომ მეცნიერმა ლექცია
ვეღარ განაგრძო...

მეორე დღეს რიონიძე საგიეტოში წაიყვანეს.
მკურნალები გავრეკულნი იყვნენ რიონიძის უცნა-
ური ავადმყოფობით. ასე ამბობდნენ, ეს ყველა კარ-
გი, მაგრამ ეს რაღაც ფულის ზღაპარი საიდგან
მოაგონდა მეცნიერსაო...

ჭინკა.



მ მ ი

შეება-ლხენა,
აღმაფრენა
გაპქრა, გაპქრა, აღარ არი,
ისმის კენესა,
ყოველ დღესა
სისხლით ირწყვის მთა და ბარი.

შორს-მსრლოელი,
საშინელი
აღამიანს ანადგურებს
და მშვერავი,
(როგორც ყვეი)
ცეპელინი თავს დაგვეურებს!..

მშვენიერა,
ხალხი — გრი
დაიქსაქსა და გაიქცა,
მათი ქერი,
ეზო — სერი
განადგურდა და დაიქცა.

ირვლივე კენესით
და ამ წესით
ყველას უწუხს სული, გული;
ვაპ ჩვენს ხანას,
ჩვენს ქვეყანას!..
როდის ენახოთ სიხარულიც.

ს. ჯორბენაძე.

სცენის მოკვარული

(მაგონება)

დაახლოვებით ოცი წლის ვიქნებოდი, როდესაც
თბილისში ჩამოველი. ვიწოვენი ადგილი, დავი-
ქირავე ჩემთვის ოთახი და ნელ-ნელა შევეჩვიე ქა-
ლაქის ცხოვრებას. ერთ კვირა საღამოს აშხანავის
რჩევით წავედი ქართულ თეატრში, „სამშობლოს“
თამაშობდნენ. იმ დამიდანვე შემიყვარდა სცენა და
მას შემდეგ შეყვარებული ვახლავარ. აშკარაა, რომ
მე უსცენოთ არსებობა არ შემიძლია, ხოლო სცენა
უჩემოდ იარსებებს თუ არა, ეს კი სხვა კითხვაა.
დიახ, შემიყვარდა სცენა და ხომ მოგვსენებათ შე-
ყვარებული თავის სატრფოს ხშირად ხელავს ხოლმე
სიზმარში და მეც ისე მომიღოდა. ისე ღამე არ გაივ-
ლიდა, რომ ჩემი სატრფო არ მენახა სიზმრად თავის
სიგრძე-სიგანით. ბევრი ფიქრისა და თავის მტკრევის
შემდეგ ვაღიკანი ერთი ფიქრად სიმპატიური და პა-
ტიოსანი გვაპი, რომელმაც მომცა საშვალეება ჩემი
სატრფოსადმი დაახლოვებისა. დიდი რჩევა დარიგების
შემდეგ ვაღმომცა ვასო აბაშიძის მოზრდილი წიგნი,
ხალაქ ბევრი ახსნა-განმარტება სწერია სცენის მსა-
ხურთათვის. დღახან აღარ დამიყოფენბია და იქ
ჩამოთვლილ პირობის შესრულებას შეუდექი. პირ-
ველად ვაღვე კითხე შექსპირ-იბსენის დრამები და
კომედიები. მაგალითად: „კატა აწონე“ „ტიმოთის
ლეღი“, „ორი მშვიერი“, „არსენას ლექსი“, „დე-
და ენა“, „სიზმრის ახსნა“, ვ. ურუშაძის: „რუკი-

ვერს“ და სხვა. მერე დაიწყო სხვა საგნების შესწავლა: ლეკურის თამაში, სიმღერა, იარაღის ხმარება, სხვა და სხვა საკრავზე დაკრა, გარტყმა, ჭიდაობა, „ტანკაობა“ არშიყობა,*) სეირნობა, ჭამა, სმა, (რასაკვირველია ღვინისა) ქეფი, კარტი, ნარდი, თვალზე ცხვირსახოცის მიფარება და ტირილი, ყვირილი, ხმამაღლა სიცილი, ცალი თვალის დახუჭვა და არშიუყლი ღმილი, ხელების ეკაჯი, წარბების მალა აწევა და თვალების ბრიალი, ერთი სიტყვით, ყველა ის, რაც საქირაა სცენაზე მოთამაშისათვის.

განვითარდი გონებრივად, გავსებუკადი ზნეობრივად, ვახსენე ღმერთი, გადვიწერე პირ-ჯვარი და მივადექი „ოქროყანის“ სახალხო სახლს კოჯრის ქუჩაზე. ვაგიცანი რეესორი, უამბე ჩემი ისტორია, მიმიღო სიამოვნებით და ჩამწერა შევეყვარებულთა სიაში და თანაც მითხრა: —თქვენ, როგორც ახლად შევეყვარებულდი და გამოუცდელი ხართ, ამისათვის პირველად „დაჯდომილა“ უნდა გათამაშოთო და მართლაც ვ. გუნისა „და ძმა“-ში პირველად პირველი ტყვე ვითამაშე, ოპ, რა სიამოვნებით ვიგონებ იმ წუთებს, როდესაც ჩემს სატრფოზე ვიჯექი და ვამბობდი: „მაშ რა გგონია ბაბუა! შენა გგონია, კაც-ვაჟისათვის ადელია უმტეროდ ომს დამორჩილდეს და ნაჯახსავით თავი ბატკანს გაუწოდოს! როდესაც ფარდა ჩამოეშვა, რეესორი ფინთიხივით შემოვარდა სცენაზე, ვადამხვია და ისე მავრათ მაკოცა, რომ ტუჩები ეხლა მტკივა.**) ხალხის თხოვნით მეორე კვირას ისევ „და-ძმა“ დასდგეს და იმდენად ნიჭიერი აღმოვხნდი, რომ ეხლა უწინდელ „დაჯდომილას“ მაგიერ „დაჯდომილა“ ბიჭის როლი მომცა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გულულ ტანისამოსში გამოწყობილი გამოველი სცენაზე და მთელი ოქროყანის „ბარიზნები“ მე შემომტკეპროდნენ. ორასი წელიწადი რომ ვიცოცხლო, არ დამავიწყდება ის დრო, როცა სცენაზე გამოვბტი შეველივით და ბატონ ოტაის მივიძახე: „ბატონო, ბატონო, საკანი გაქცეულა და ტყვეები ცარიელია“, შემოვთვებულმა ოტაიმ დამიყვირა: „რას ამბობ, ბიჭო? გაიმეორე, რა სიტყვი. ან როგორ გაიქცეოდნენ, როცა საკანი დაკეტული იყო“. ზვიდან დედაკაცი ჩამოუშვიათ და ძირს გულწასული თოჯი უნახავთ“

მეთქი, უბასუხე მე. ერთი სიტყვითაა ნიჭი ძლიერი აღმოამჩნა და იმისთვის იყო, რომ როლი რაც უნდა მოეკათ „დაჯდომილა“ თუ „დაჯდომილა“ ყველას ასე პირნ თლად ვასრულებდი, როგორც ზევით მოგახსენეთ და იმტომაც დამსახურებულ სცენის მოყვარის სახელს ვატარებ.

რ. ჯიბილი.



მესტვირული

(უსტუაროთ)

მარცხი მომიხდა საწყენი, თავზე დამატყდა ჭირია და გულ ამოსკვნით ვიგონებ, ვეკითხებ, მოვსტეკამ, ვსტირია. რასო, მკითხავთ, კეთილნო, რა გაქუსო ვასაქირაო? იმას, რომ ზარბაზნის ტყვიამ იმსხვერალო ჩემი სტვირია. ვოკრიდან გამომიხიზნა, — (მას გაუშავდეს პირია). გაბარაზებულმა ერთ ფაშას ზე მივიათლე ცხვირია.

წამოვმევიღნ გუნდ-გუნდათ აბდულ, ოსმანა, ალია; ცხელ გულზე ისე მოვევლე, ვითა ჯეჯილსა კალია, — დავატრიალე ხიშტი და ზედ მივაშეველე ხნალია.

მკვდრებისა დაედგი გორები, სისხლი სდის, როგორც წყალია. (თუ მკლავი ერჩის ვაეკაცსა, იქ ბევრი მოსამკალია).

*) სამწუხაროდ უნდა გამოვტყუე, რომ ყველაზე მეტად არშიყობის შესწავლა გამოიწვლიდა, ვაკეთებულების დროს ორ-ჯერ ისეთი „მხაიეი“ გამოვიყუეს, რომ ერთხელ სამი დღე ვიწვევი ლოკიში და მეორე ხელ-კი ხუთი. რ. ჯ.

***) მე გგონია ეს გამოუცდლობით აახსენა, თორემ გრიშაშულს ამდენ ხანს ასჯერ მოუფიქრდა ტუჩების ანთება. მათრახოსანი.



ვერც კი დათვლილით, თუ რამდენს იქ დაეუბნეულე თვალია.
 პაპამ მარუქა ის სტვირი,
 არ ვიშორებდი წამზედა;
 თან მქონდა მავარი თასმით
 ვაღმოკიდული მხარზედა.
 მიყვარდა ნაფეშქაშევი,
 მერჩინა ორივე თვალზედა,
 ავაკენესებდი ხან და ხან
 ქვეყნის ჭირზე და დარღვედა
 (ლიდინსაც ავაყოლებდი
 თათრების ვაჟუჟეზუნდა).
 ეხლა კი... იმის დამკარგავს
 ცრემლი გადმოძლის დაწვედა.
 უსტვიროთ ველარ ვინღერებ,
 ხმა არ მომყვება ხმაზედა;
 გულ ბოროტს კვლავინდებურათ
 ზარს ვერ დავატებ თავზედა.
 აესულნი, ნაძირალეები
 გამრავლდებიან ძალზედა, —
 (უნდა დაგვდე და ვიტრო,
 ცრემლი ვიღინო თვალზედა),
 მაინცა ვშინჯავ ამ ჯერად,
 ვსტევა რამე ომის სვლაზედა,
 იქნება შევსძლო, — თუ არა
 ნურვინ დამძრახავს თქმაზედა...

ღიღი არის ოსმალითის
 დღეს ტანჯვა და ვასაჭირი;
 ველარ გვაკართობს, როგორც უწინ,
 ხმა იმისგან დანაყვარი.
 ყოველ მხრიდან ზარბაზნების
 მომართულა მისკენ პირი;
 წინ მივიწვეთ, ვიწროვდებთ
 მისი ქვეყნის განაპირი.
 ცუდათაა მისი ზედი
 მახმადისგან განაწირი;
 (დააწვირილებს უბედურსა
 კაიზერის განაპირი).

წასულია მისი საქმე,
 თოკს ვერ გახსნის ჩანაჭირებს;
 გლახა დროზე ჩაუვარდა
 ხელში მამაც მოკავშირებს.
 დათვლილია მისი დღენი
 „გებენს“ ტყვილა აკავშირებს;
 (ენვერ ფაშა გადაჰყვება
 ტყვეთ წაყვანილ ჩოჩორ-ვირებს).
 გოლც ფაშა კი, თუმცა ჯარებს
 კვლავ აგროვებს—ანაპირებს,
 მაგრამ სჯერა, რომ ვიღველში
 მას - მკვდარს ველარ დაიტორებს.

ავსტრო-უნგრეთს მეტათ უჭირს
 კარპატებში ავი ომი,
 თუმც იბრძვიან მამაკურად,
 ვითა ვეფხვი, ვითა ლომი.
 ძლიერ უშლის ხელს მათ საქმეს
 მთების ყელში გასაძირომი;
 რაკი ერთხელ წაფორხილდა,
 ველარ არის ანადგომი,
 ფრანც იოსებ ვერ ისვენებს
 ვერც ამღვარი, ვერცა მკვდომი;
 (ვერ იგემა სახვირო
 კაიზერის წანადგომი).
 ვიღველმს სულ მთლიად აერია
 დავთრები და ქუთა-გონი;
 დაღდა ჯვართთ, სულ ჩამოხმა,
 შამააკლდა ტანზე ქონი.
 დაჭრის ყველგან, ფრონტიო
 ფრონტზე,
 ვერ იპოვა ვერსად ფონი
 და იკვნეტავს უღლაშებმა
 ამგვარ მარცხით დანაღონი.
 სიტხეს მატებს ბლევვის ნლომა,
 ბრაზი გულში ჩანაკონი, —
 (დარდი კაცსა გადაიტანს
 მე ისე მაქვს განაგონი).

ნეტავ როდის მოვლება
 ბოლო ამდენ ვასაჭირს? —
 ვინ გააძღვებს ქვერი-ობღვებსა
 შიშმშლიისგან ანატირსა
 და ან ვინდა დაიტორებს
 გამირებს ტყვიით განაგმირსა, —
 რა გაუძღვებს, რა ქვა გული
 ამდენ სენს და ამდენ ქირსა? —
 სხვისას ვჩივი... — ვინ კითხულობს
 ჩემს დარღსა და ვასაჭირსა, —
 ვინ მაჩუქებს, ვინ ეშმაკი
 ძველის ნაცვლად ახალ სტვირსა? —
ბერი ქედანი.



დალაქთა კრება.

(გრება ისინება დალაქთა უსტაბაშის თაყუდმარუბით)

უსტაბაში. — ბატონებო, მთელი ქვეყნის ვაჟარხლოსანი გამდინდენ ამ ომის წყლობით. უკანსკენი მეკუბრეც კი მილოინიკი ვახდი, ყველადერი ვაძვირდა. ჩვენ კი მათხოვარიანი ხელში შევეურებთ მეუტარს. მისი ნება— რასაც გვიწყალობებს. დღეს ჩვენ იმისთვის შევიკრიბებით, რომ დავაწესოთ ნიხრი, რომელიც დღევანდელ ვითარებას შეეფერება.

ამქარი. — ჩინებულაი, ჩინებულაი, დავაწესოთ.

უსტაბაში. — მამ კარგი. რა ფასი დავადეთთ თავის ვაკრეჭას?

ამქარი. (ერთხმად) ექვსი შაური, ექვსი.

უსტაბაში. — (ერთხმად) ჩასწერეთ ოქმში ექვსი შაური.

დალაქი რუსულადე. (უსტაბაშს) გასაბადინ პრისიდატელ, რაზრეშიტე მინე პაეალუსტა აღინ სლოგო.

უსტაბაში. ბასნეთ, მხოლოთ მოკლეთ.

რუსულადე. გასაბად ცირულნიკი ცეგოა უჩასტკა გოროდუ ტიფლის, ცეგოა ულიცა, ცეგოა პერეულა-კი ცეგოა ტუპიკუ, პროსინ ობრაშაიტ ნა მოი რუჩ ენიმინაი. გასაბად ცირულნიკი, ნელა ტაე სრახუტ რეშაიტ ვაპროს. კი პასტავილი ზა სტრიგანია ვალაეა 30 კაბ. ნო ვალაეა ბივიტ რაზნი რაზ-მერუ: მელკი ი კრუჰნი. ვა, ერთიარ ცენას ხომ არ ავიღებთ დიდ პატარაზე! რაზნიცა აბეზატელნათ უნდა იყოს. პო მომი საბრაყენია ზა სტრიგანია მელკი ვალაეა მუ პასტავი 30 კაბ., ა აბინავენი ვალაეა 40 კაბ. (შეფანს, პაშოუ ზანესიტ პროტოკოლ.

ამქარი. (ერთხმად) მართალია, მართალი!

უსტაბაში. (ამქარს) ძალიან კარგი, არის იმისთანა თავები, რომლებიც ყველაზე დიდია. აი ნაპრიმერ ვარაკეი ვალაეა, იმას რა ვადავასდევინოთ?

დალა. რუსულადე (კრებას) გასაბად მი ცენა ბუდმი ბრატ პო რაზმერ ვალაეა. ვარაწყკი ვალაეა ბივიტ, შტო იმეიტ ბალშიი ვალაეა კაე არბუზ, ნო სავსე პაროენი. ბივიტ ი მონეკი, ნო პოლნი, ნო, გასაბად ცირულნიკი, ეტა ეე ნე ნაში დელა უ კავო პაროენი ი უ კავო პოლნი. გასაბად, ჩვენ ზედა პირს ვემუშობთ და რა ჩვენნი ბაღალია თუ იმ თავში არაფერი ეყრება. პუსეკი ყოლუკი ეგო ვიბორიკი. კაკეი პაშო დელა! ია დუმიტ ესელი ოჩენ ბალშიი ვალაეა ბუდიტ მი პასტავი 15 ნო კაბ.

უსტაბაში (კრებას) ბატონებო, მოგწონთ ბატონ რუსულადის პრედლაენეა?

ამქარი (ერთხმად) ჩინებულაი! პრავა! პრავა! (ტაშა).

უსტაბაში. (შაშისინეს კრებას) ბატონებო, ვადავიდეთ სხვა საკითხზე.

რუსულადე. გასაბად ცირულნიკი, მი ეშოა პრა ვალაეა ნე კონილი ვაპროს. მი ვავარილი მელკი ი კრუჰნი ვალაეა. ნო ესტ ვალაეა ქაჩალ, საესემ პოტკლევილი, კატორი იმეიტ მალა ვალასა, ი ესტ ვალაეა, კატორი იმეიტ ვალასა კაე სვინინი ჯავარ. გასაბად, ნელა ეე ზა ეე ვალაეა აღინაკი ცენა

ბრატ! პო მომი მისლი ზა ვალაეა ბარიშინი ვალასა მი პასტავი 35 კა., ა ზა ქაჩალ ვალაეა 10 კა.

ამქარი. პრავა, პრავა, რუსულადე!

უსტაბაში. (კრებას) ბატონებო, ვადავიდეთ სხვა საკითხზე. რა ფასი დავადეთ ულავის მოპარსენა?

ამქარი. (ერთხმად) ულავის მოპარსეა იყოს ბეზ-პლატნი, ბეზპლატნი. (გვირიდა)

უსტაბაში. რათა, ბატონებო, იმასაც შრომა უნდა და მე მგონია პაბადნიაში ფასი იმასაც დავადეთ.

ამქარი. არა, არა. ბეზპლატნი იყოს. (გვირიდა).

რუსულადე. პო მომი მისლი ტრეე ლუჰნი ბუდიტ, ესლი მი ასტავი ბეზპლატნი ბრიტანია უსოვ. გასაბად ცირულნიკი, ვი ხარაშო ზნაიტი, შტო უსი ბროიუტ ტოლკი არტისტი. ია დუმიტ სკოლ-ეცენა ნი პასტავი, სტავნო ანი დენკი ნე ბუდლუტ პლატნი. ლუჰნი მი ზედლაიმ პაეერტავინა დრამატინსკი დელუ.

ამქარი. ჩინებულაი, ჩინებულაი. შეეწვიოთ ტი-ატრის საქმეს.

უსტაბაში. კრების საქმეა ყველაფერი, მაგრამ ესლა ყველა გამომდებელი უჩენიკი არტისტობს და ყველას რომ მუქათად ვაარსათ, ძალიან შორს წავიყვანეს. შეიძლება მერე პრავლენიის ჩლენებამაც მათხოვონ ულავის მოპარსეა და ჩვენ იმათ მოედებთ. მე მგონია, ცოტა ფასი დავაწესოთ.

ამქარი. (გვირიდა) არა, არა, შეეწვიოთ ტი-ატრის საქმეს.

რუსულადე. გასაბად ცირულნიკი, არტისტიჩესკი კარმანი ცეგოა ბალშიი დირკა იმეილი ი დენკი უ ნიხ ნიკავადა ნე ბილი, რე ტევარ ანი ეშოა ბოლოში ვალადიუტ პატაჟე შტო ტუეტარ ნე იმეიუტ, პაკრინა მერა უსი ბუდმი ბეზპლატნი პრატ.

ამქარი. ჩინებულაი, ჩინებულაი. ვთხოვთ ჩასწეროთ.

რუსულადე. (უსტაბაშს) პროსინ პრაიტრატ ცელა პასტავლენია სნახალა.

მიღვანი. (ვათუჟასს): მიმდინარე აპრილის თვეში შეიკრიბეა ქალაქ ტიფლისის დალაქთა ამქარი და დაადგინა შემდეგი ნიხრი:

სტრიგანია მალენკი ვალაეა კაე ვირთავეა 30 კა. აბინავენი ვალაეა 40 კა.

ოჩენ ბალშიი ვალაეა, კაე გერმანეკი 42 სანტი-მეტროეა ყუმბარა 50 კა.

ვალაეა ბალშიმი ვალასამი კაე სვინინი ჯავარ 35 კა. ზა მოტკლემბილ ვალაეა კაე ქაჩალ 10 კა.

განხილულ ოქმნა აგრეევი ულავის პარისის სა-კითხი. ვინაიდან ულავემეს მხოლოდ არტისტები იპარსავენ და ამ ყმათ ისინი თოატრის უქონლობის გამო დიდ კრიზისს განიცდიან, ამიტომ კრებამ და-ადგინა აღმოჩინოს მათ დანაზრება და ყველას უფასოთ ჰპაროს ულავეშები. თუ გამგეობის წევრებში მოისურვებენ ამ უკანასკნელი მუხლით: სარგებლობას დალაქთა ამქარს საწინააღმდეგო არა ექნება-რა.

ამქარი. პრავა, პრავა, ჩინებულაი!

უსტაბაში. კრება დახურულია.



ტელეფონთან

(ჭაფურისათვის)

ცენტრალნი! ცენტრალნი ხარ! გთხოვთ, შეუერთოთ წყალს ვაღმა, წითელ სახურავიან სახლს. ააპ? ნომერი არ ვიცი. რაჲა არ იცი, ბარიშნა? წითელი სახურავიანი სახლი, დიდი, მაღალი ბუხარი რომ აქვს. აბანოც არის იქ. ღამწმუნებული ვარ, ხუთჯერ თუ გიბანანვიათ—ერთხელ მაინც დაკარგავდით ტრანსპოზს... ოოოჲ, სწორეთ იქ... გამაღლობთ...

ვინ არის ტელეფონთან? გოგია? ააა, სალამი, ჩემო გოგი, სალამი!.. კაცო! რას შეჩირულობარ მდღე და ვარეთ აღარ გამოიღიხარ? შენს ძებნაში რამდონი ებოდილაღე... ძლივას მოვაგენი... მე? ახლათ მოსულია?.. რამდონი კი არა, ეს ფსევდონიმი მე მაქვს მხოლოდ. აა, შე ეშმაკო! ხუმრობის ხასიათზე ხარ? გაგიმარჯოს!

ავთ იყავი? ოოო, ეგ კი ვერ „ლაღვის“... მაგას ერიდე, თორემ სანდროზე ნაკლები „ოპოტინი“ აღარც შენ დარჩები, „მაღენებში“. აპ? მათრახი ებოდილაღე... ნურც მანახის და არც ვამავგონოს—მისი ხსენება.. ცალიკვება რომ ერთხელ იმით მუშას სცემა,—მას შეეძლო, მის ვახსენებაზე ყოველივის გული მიმდინ...—გინდა, თუ არა უნდა იმუშავოთ... და რომ აღარ გაუფრინა—უჭირა და უჭირა... ახირებულა სწორეთ... რაჲა, ჩემი ხელების პატრონი მე არა ვარ? არ მინდა და მოზრა... ბოლქვაძის „მათრახი“? კაცო, ავრე გეთქვა მერე, რომ გამეტლიცე გულზე, კერეცხივით... ენახე და კაი მაგარი შეხლა-შემოხალც იყო იმანე კოპორატციის ფურცელი... ვინ და კოსტა დაობდა? „მათრახი“ ნაძირალებს გნეთია, რათ გინდაო!.. აპ? ნამძინარების კი არა, ნაძირალებს! ხომ არ დაყრუვდი?.. ჰო, და ასე... რემის რა უნდა ექნა? წინააღ-

მდევს უმტკიცებდა... ასეა როცა თავისი აზრები გაანჩინა—სხვას უნდა გამოეხატა „უღლით“ და გულახა ტანზე ხომ იცი? კულცი გოხას იქნება... ააპ? დაკარგე იქით... ჩემს წმინდა მათრახს მისი წმინდული ზურგზე ვავსერი? იყევებს და ვაჩუყდება... ჰოოო, იგი კი იყო „გაჩისტული“ ვახტანგ მეფის კანონზე... კაცო, სულ იმას ამტკიცებდა:—„გახეთში წერა მოცლილი კაციის საქმე, ყურადღების ღირსი არ არისო“ და ახლა ხედავ როგორ ხტის? რაო? რა თქმა უნდა, დაეძებს... სიწმიკობა ვიღაც მუშას,—ან გოგოლაძეს უყისრია... უთქვამს: „ათ დღეში მოგნახამ მის დამწერსო“... მაინც ავრე მოუა... ხომ იცი? „არა მკითხე მეამბეგო, მიტყობე და მიაგდეო“. აბა სერგოს რა მისი ევექლობა უნდა? დაეტრის თავის ტყავში და მოზრა... აპ? „ჩორტ ზნაეცტ პაქემუ“... მაშინ კი დაადგინეს საზოგადო კრებაზე, რომ „ჩვენნი ოჯახის“ საზოგადო კრება უთულო იანვარში მოეწვიათ. ახლა კი რას გებდეთ? ავრე მისი დაიწყო და ჯერაც არაფერია... ჰოო და, მეც მაგას ვამბობ; საზოგადო კრება ერთს აღგენს,—გამგეობა კი მეორეს აკეთებს. ავი სპარსეთის შახს ნუ დამართოს ღმერთმა... შენ ისა თქვი, კაცო, ამ ვაჭრების თავ-აშვებულობას რა ეშველებ? გავონილა? ნიხრს ყველაფერზე შეუჩრებლიცე, ქხარაკებით ეწვევიან მაღლა. ოჲა პური 18 კაპ. ვახადეს და ვახაზა კიდევ კისრით დაერქო, კრებაზე—„გინდათ, თუ არა—კაბიკი კიდევ უნდა მოუშაბროთო“... კაცო—მა სიმართლე არავის უნდა დაუკარგო... რომ ბოქაულს არა—შენი მტერია... რა უყოთ მერე ყველა რომ არ არის? დიდი უმეტესობა ხომ ასეთებია? საქმესაც ეს აბრუნებს...

შაბიბანი? ათ მან-დღე ასწიეს, ფუთზე ნიხრი, მაგრამ ცხოვრებაში არც ამას ატარებენ... რას ამბობ, კაცო? 16-ი ტლიკევი განა ჩემი თვალის წინ აძლია კოლიამ ქუთათლაძის, მაგრამ რომ დღესო ერთ ადგილს—ძვრა ვერ უქნა, 18 მან. კაბიკი არ დააკლო... ასეა, არ შემიძლიაო. კუქავას ხომ, რაჲა არ გევიგებდი, ოქმიც შეუდგინეს ამისთვის... არა? რასთვის და ფუთი შაბიბანი რომ 20 მან. ვაყუდა... კი თქენი ნუ მოუკვდები ჩემს თავს... ევეგ, შეე შამა ცხანებულობა... რის უღმერთობა... შენი ორმაგი ტყავის გაძრობას ვინ დაგიდევს? ოღონ ფუთლები კი ჩაიხჩიროლონ და სულსაც გაციდინა... განცხადება? არ წამიკითხავს! აბა საიდან წაფიკითხამდი? „სახალხო ფურცელს“ ვერ ვშოულობ... ოჰოო... მერე და რა ამბავია, ნაშ-თ გვერდიანი წიგნი 2-ი მანეთით? სწინა, იგიც გაუტყანია მოგების სურვილი. ევეც შენი ყოფილი „დასაღი“... სადაც „საზოგადო“ მოღვაწეებს ამ ზომამდე ვაზრდია მაღა სხვებისგან რაღის მოიხზოვ? რა თქმა უნდა, დილია!.. არა, ჩემო გოგი! სანამდე იგი დრო არ მოხრიგინდება, ცი და ქვეყანა რომ პაროლეთარობას ნატრობდა და სიტყვა „ვაჭარი“ გინებთ იყო „შემოდებული—ჩვენს კუხიან ცხოვრებას, ნიხრი კი არა, მიუხედავთ ქართული ანდაზისა—სამარეც ვერ ვასწორებს... აპ? რა გზა, რომ არ მოუტდის?.. ნახვამდის, ნახვამდის!..

ახლათ მოსული.

მეომარი ქალი მარსელიეზის სიმღერით მოუწოდებს საფრანგეთის ჯარს სამშობლოს დასაცველათ.



პ ა რ ი ზ შ ი

ომი რომ გამოცხადდა პარიზში რამდენიმე ხნით შესწყდა მხიარულება, თეატრებიც კი დაიკეტა და წარმოდგენები არ იმართებოდა. მაგრამ პარიზელი რის პარიზელი იქნება, უთეატროთ დარჩეს. მალე კვლავ დაიწყო წარმოდგენები და პარიზელები კვლავ მხიარულებას მიეცნენ. დაიწერა ახალი პიესები. ერთი გამჩინილი არტისტი ქალი ჟანა დაკოს როლს თამაშობს და მარსელიეზას მღერის. მაყურებლები ალტაცებაში მოდიან და მთელი თეატრი შემოდგომალ ქალთან ერთად მღერის მარსელიეზას.



ორი ეშმაკი

ქართველი პრინცები.

(სასიმღერო კუბუდები)

პირველი. როცა ვიყავი პრინცი ქართველი, მენატრებოდა მუჰი და ყველი, დღეს ფლავია მაქვს თავზე საყარად, შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად.

მეორე. როცა ქართველი ვიყავი პრინცი, გროში არ მქონდა (ეს კარგათ ვიცი) დღეს კი—ბლომათ მაქვს „გამოსარჩენი“, კირიმე შენი, კირიმე შენი.

პირველი. როცა ქართველი პრინცი ვიყავი, საწყალსა ხალხსა ვაფძერე ტყავი. დღეს ვერუნალისტობ, ვაფხი მწერალი! პარი-არალი, თარი-არალი.

მეორე. როცა ვიყავი ქართველი პრინცი, ვდემოკრატობდი, (არ უნდა ფიცი).



რკინის გზის პირველი კლასის ვაგონში.

დღეს ძველ მცნებასა
დავღვეი წუნი,
არა-ნანუნი,
თარა-ნანუნი.

პირველი. როცა ქართველი
პრინცი ვიყავი,
მარტო ლექტორად
მომქონდა თავი.
დღეს მგოსნობასაც
მოვიკიდე ხელი!
ოდელა-დელი,
ოდელა-დელი.

მეორე. როცა ქართველი
ვიყავ პრინცესა,
ლექსი დავსწერე
(თქვენც იცით ესა)
დღეს შევიქენი
დელა—მგოსანი!
ნანინა-ნანი,
ნანინა-ნანი.

ე მმაკეული:



— რისთვის მირტყამ თავში წრა დავაზავე?
— შეშა არ დაგიტრიალა შენ, არამზადვე, აქვ ლექსებებსა თხზავ!



იტირა. დავაჰ!

...იტირე, დედაჰ! ტირილით
მგებ იჯერო გულია;
გიკვდება შენი იმედი,
ბრძოლაში ჰხდება სულია;

მოგტაცეს შეილი მრჩენელი,
ტანჯვაში სიმწრით აღზრდილი;
უხეშ მტრის ძალამ მოუსპო, —
ბედ კრულს წინ-სვლისა წადილი.

იტირე, დედაჰ-შობელი,
ჩამოიწეწე ჰალარა;
წაველა და კრულვა ახალეთ,
ვინც კაცთა სისხლი დაღვარა.

სიო ხიდისთაველი.



— ბევრ ფულს მივცემდი იმ ქალს, რომელიც მე შემიყვარებს და
არა ჩემს ფულებს.
— რამდენს მომცემთ რომ შეგიყვარო?..

მე ვით ვიხარო!

მე ვით ვიხარო, როცა ქვეყანა
სისხლით ირწყვება, სისხლში დასკურავს,
მე ვით ვიხარო, როს მაშვრალს კერას
შავი წყვლიადს სუღარა ჰბურავს!..

არა, არ ძალმიძს მე სიხარული
მომძვითა კენესამ დაკოდა გული,
მაშინ ვიხარებ, თუ რომ მეღირსა
მაშვრალთა მხარე განახლებული!..

ბ. ვარლამშვილი.


გურული სცენა

(ა. მ. შ.)

რაცხა გერმანიეა, ღმერთი დაბტყალავს მის
ოჯახს, მუღუნგრევეს ცხვირს და პირს! წამიყვანეს
ჩხუბში, ჩამაყენეს ფრონტში და აია ახლა აბა შენ
და აბა გერმანიეო, უნდა შიგებდღენათ ერთმანეთს,
ვაკრატუნებ კბილებს. გევიხებდე მორბისრაცხა, მარა
იმისთანაი შენ პეტრიას, მორბის პტყელოთეიანი,
გოგრებიანი, მორბის და ყვირის, ყვირის და ფშტვი-
ნავს, ფშტინავს და ღრინავს! არც ფეხი აქ, არც
ხელი, არც პირი, არც ცხვირი, არც ხარი უმბია,
არც ვირი. მუჟა და მოგლიჯინობს!.. ბჟო. ახლა
დამზრინა ტანში, ჩავარდ ბანდში, ვესროლე ერთი,
ვესროლე ორი, მარა ჰაა, შენც არ მომიტყე, მორ-
ბის და მორბის, ყვირის და ფშტვიცნავს, იმიზა ყუ-
რი არ გუჟპარტყუნებია, რუარც იყო მოვში ვა-
ვარდი. მივაშურე წყალს, გიგედი ნავით, დევიწურე
პირჯვარი და მადლობა გაღუხადე წმინდა ბასილეს
და კიმოთეს, რომ გაღუწჩი ამ წყელსა. ამასობაში
გევიხებდე, ვინცხას ღელუშტმივს თვალები და ზედ
წყალზე მუჟა ფეხით, გამახსენდა ქრისტე, ვიფქრე,
აია მომხედა ღმერთმა და მოსახმარებლათ ჩამევი-
და მეთქი, მარა ქრისტე კი არა, თურმე გერმანიეი
იყო, ჩიეკვა რიზინა ფეხზე და პირდაპირ წყალზე
მომდედა დასაქირავათ!.. ესწყვერტ რაც შემეძლო,
გაღდათანი ნავის, ამევიხებ ნიშნაში: სა წახვალ შენ
კუდიანო მეთქი, ამ ღროს ღიღირაცხა მოფრინავს
და უნდა დამე ბღნასა თავზე, მარა უქენი განი,
თურმე აეროლანი იყო, მოგეკა სიკოცხელე, ვნა-
ხე ფეთება, ამიტყდა ანთება, მოვში და მოვში.
იყო შუადღე, უცხათაი დაბნელდა და ყორიფელი
დალუსკუმდა, ღმერთი არ დაულის გერმანიას,
თურმე ნისლი დააყენა განგებაი, გზას ვერ გეიკ-
ლოვს და დეიბნევა ყახახიო, მაგრამ ვერ მივართვი
პატრიქიანი, რომ გევიგე მისი ეშმაკობა, რაცხა კას

არ შობიან მეთქი, მოუსვი და მოუსვი, ვერ გამაჩე-
რა ვერც სიბნელემ და ვერც ცქყინდობის ცვირილ-
მა, ჩემი ბარგი ბარხანა იქ შეცხვალ და ისევე ორ
მინუთში ამოვყავი თავი სინათლეში. არა, რა ეგონა
იმ გაბერილებს, ყოლიკაცი რომ მუტყულოს, გუ-
რულს მაინც ვერ მუტატუნებს. დედას უტირებ თუ
დაეინახე სინათლეში გამოსული, შიგ კაკალ შუბლ-
ში მივაკერებ ვინტოვკის ყურშუმს.

ბუჯგუბი.



ომის ღლიური

(დასასკულეთის ფრონტზე)

12-სა და 13 აპრილის განმავლობაში სენაკ-
ზუგდილის ხაზზე უმნიშვნელო შეტაკებები ხებობდა.
მხოლოდ 14 აპრილს ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთამ
კონტრ იერიში მიიტანა დაბა ხობზე და მიუხედავად
ხობელთა „მოხალისეების“ სიმამკისა (რომლებიც
მაისის წვიმასავით ისროდნენ ღომიროს და ნარდის
ქვეშ) ჩვენმა მძიმე არტილერიამ სავსებით გაანად-
გურა ორი ფურცე, ხუთი სამიეტრო და რამოდენ-
ინივე სახანაოა ღუქნები. ხელთ იგლო ჩვენმა რაზმმა
ორი ნარდი, სამი დასტა კარტი და რამოდენინე
ღომირო. ტყვედ წამოყვანილ იქნა ნარდის ქვეშის
მტყორცნელი როტა მეფურცეებიითური.

15 აპრილს ჩვენი ჯარის ორივე ფრთა შეერთდა
ს. ხეთის შესავალითან და თითქმის უბრძოლველად
დაიკავა იგი.

16 აპრილს სოფელ ცაიშს მივადექით და სას-
ტიკი იერიში მივიტენეთ. ბრძოლამ რთული ხასიათი
მიიღო და ძნელადც დაგვიჯდა მისი აღება: ეს აიხ-
სნება პირველად იმით, რომ ს. ცაიში მიუვლი ბუ-
ნებრივი სიმაგრეს წარმოადგენს და მეორედ იმით,
რომ ცაიშის პოლკს კამანდობდა მეტის მეტი გე-
მოკილი სტრატეგიულ საქმეებში და მასთან ად-
გილობრივი შენახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამ-
გეობის თავმჯდომარე ბ. მე--ი. მართლა და სხე-
ნებულ პოლკოვნიკს ძალიან მომზადებული და გა-
წვრთნილი ჯარი ყლია, განსაკუთრებით შენახა-
ვამს. ამხანაგობის წევრები.


ბრძოლა დაიწყო დღის 12 საათსა და 27/10
წუთზე და უფრო მშვევე ხასიათი მიიღო საღამოს
4 საათზე. ჩვენი მძიმე არტილერიისგან ცეცხლი
გაუწნდა ბანკის შენობას. თვით პოლკოვნიკმა ბ.

მე — იამ ხუთი მძიმე კრილობა მიიღო, მაგრამ ის მაინც გაცხარებულად კამანდობდა თავის ჯარს.

„დღეოა ნე ვკალიჩესტვე, ა ვკაჩესტვეო“, სწორედ ისედაც მოხდა: ჩვენმა რიცხვ შკირემ, მაგრამ შეგნებულმა რაზმმა უკუუქცია მტრის ბანაკი. ხელთ ეგვდეთ ბანკის დეფორები, კასა და შიგ ფულად-ფული 84 კაბ. (როგორც დეფორებიდან აღმოჩნდა წასულ 1914 წელს ბანკის შემოსავალი უდრიდა 2793 მ. და 96 კაბ. ამავე წელს ნავთი, სფიჩქა, ქალაქი და სხ. დახარჯულა 2793 მან. და 12 კაპეიკი. წმინდა შემოსავალი ბანკს დარჩენია ორი გამგეობის წევრი,*) ცარიელი კასა და 84 კაბ.)

ტყვედ წამოვიყვანეთ ამ ბრძოლაში მხოლოდ გამგეობის ერთი წევრი; შემწახ.-გამს. ამხანავობის თავმჯდომარე მძინედ დაკრილი საღლაქ მიიმალა.

ალზღეგინ.



პატარა ფედეტონი

(სამტრედლიდან)

„ცული დროაო, გაიძახიან, სიღარიბეში გვტეზბაო სული“, ვფიცავ ჯოჯოხეთს, სულ ტყუილია, ყველას ბევრი აქვს ჯიბეში ფული.

ბედნიერია ჩიო, ვისაც ყავს ჩვენებ ერთფული მოღვაწეები, და უბედური — ვისაც არა ჰყავს სიხარულიდემ — კაძქეები.

აი, გახედეთ რიონის მხარეს შენდება სახლი უზარ-მაზარი, სიხარულიდემ დაბას შესწირა სათეატროა, სახალხოა არი და მით უკვდავყო თვისი სახელი, მან დაგვიმტკიცა ქველმოქმედება, მოკვდება, მაგრამ კეთილი ხსოვნა მისი ჩვენს გულში მარად იქნება.

მას მოიგონებს განურჩევლად დიდი, პატარა სამტრედლიდო ქველს დაუდამენ „მამა“ სპირდონისი ალარ გაპქრება მისი სახელი.

გოგოსაც იცნობთ სიხარულიდეს, მამა სპირდონის ძისწული არი, დაბისა შკოლის ბანკის კრებაზე ათი ათასი უძღენა ქანჭარი. ჩვენსა დაბაში ის პირველია, ვითა მოღვაწე, ვით ორატორი, დაბა სამოთხედ ვადიქტეოდა, მისებრ რომ გვეყავდეს ერთი ან ორი „სიპნოი ტიფი“ ფეს ვერ იკიდებს ექიმები გვეავს მეტად ზხიზელი, ცეცხლს გაუჩენენ, არ დაინდობენ შავი იქნება თუნდა წითელი.

სურდო ხველია ტიფი არიო — ჩხუბი მოუხდათ აღმოჩენაში და დაბეზლა ერთმა-მეორე ხალხის ღალატში, ორგულობაში. ვექილები გვეავს, რა ვექილები! ათჯერ ნაფიცი აბლაკატები, მათი წყალობით არ იკარგება ალარც იხეები, ალარც ბატები. გლეხებს იცავენ, და იცოდებენ, ყველა ღარიბის აქვს სიბრაული სხეების რა გითხრათ, ამას კი ვიტყვი: ბესოს არ უყვარს სრულიად ფული. პეღაგოგებში ერთი ვინმე გვეავს „მეცნიერი“ და ფიცის ამხსნელი. მეტადრე იცის ფსიხოლოგია, უკეთესისა არ ვარ მნახველი, რომ მის ბადალი ვინმე იპოვოთ, ვფიცავ ჯოჯოხეთს ძნელია, ძნელი, ჩვენსა დაბაში უკვდავ იქნება კიკაბიძე და მისი სახელი. მკითხავებრი გვეავს, პოეტებიცა დავით კოპალი და პარიზელო, რომბაქიძისთვის პაროლიდები ვინც დაგვიწერა, ვინც გვასახელა.

ალი.



*) შესამე წევრი და სარევიზოი კომისიის წევრები საღლაქ უგზო-უგვლოდ დაიკარგა.

კ უ რ თ ხ ე მ ა

(ვითომ სინმარზი)

(დრამისებური ორ მამქმედებათ)

მამქმედნი პირნი:

წუნკალადე, 40 წლის ქონა, ნადიარკნი მღვდელი.
 თხლეიძე — ინტელიგენტი, მეგობარი წუნკალადისა.
 თხანიძე — პროვინციის მღვდელი და მეგობარი თხლე-
 იძისა.
 მგელიძე — სობროის მღვდელი და მეგობარი თხანი-
 ძისა, ეგზემენატორი და გავლენიანი პირი ეპისკოპოსთან.
 ეპისკოპოსი.

I.

სცენა სწარმოვებს მთხლეიძის სასადილო
 ოთახში, მაგიდის უსხუნად თხლეიძე და წუნკა-
 ლადე, მაგიდაზე აწყვია ხმელი ხილი, სასმე-
 ლები და სხვა.

მთხლეიძე. (დგებს ჭიქას) ეს გაგიმარჯოს, მეგობარო,
 იცოცხლე შხათ, შენი დიდებული განზრახვა
 კეთილთა დაგვეგვირგვინების და მერე კნაქ
 და კნაქ მსუქანი ცხოვარი. ასეა მძე, ქვეყანა
 მოთაღვა, დანათ მოხერხება უნდა იხმარო და
 საღაროთ კუჭი, მარა გახსოვდეთ ხელი ხელსა
 ბანს და ორივენი კი პირს. თუ ერთმანეთს და-
 ვეხმარეთ, სულ ბღღვირს ავადნეთ ქვეყანას.

წუნკალადე. იცოცხლე გვირუგათ, ჩემო ბატონო
 (დგებს ჭიქას) მერა ჩემს ხელებს ჩემი პირი არ
 დაუბნაია, თქვენსას კი ყველაფერი შეუძლია,
 მხოლოდ რითაც შემიძლია, შხათა ვარ თქვენდა
 სამსახურათ, იცოცხლეთ, მაღლობელი ვარ (ჭი-
 ქას ჭიქაზე მაიარაყუბებს და გადარაყებს).

მთხლეიძე. არა ძამიავ, ორხელ ძალიანი მოშველე,
 ერთი — ჯაშუშობას რომ მწამებდენ და მეორე —
 ბანს კიდან წარჩინელ ფულურად რომ ყალბათ
 მომეზოწმე, მარა ეხლა კი შენი საქმე მე მკითხებ...
 სუ, ამა ჩენი თხანიძე აგერ მოდის.

თხანიძე. (შემოდის) ხო, ხო, ხო, ხო, ყველა გო-
 რელისასა, საცეცხლაიეცა მზადა დედისა და
 მეც აქა ვარ. იი კით საქმე გომონათ რომ
 მიხმეთ, ამა რა სჯობია, პური და ღვინო ამ-
 ხიარულებს გულსა კაცისასა. (მგადას მთუყვება
 და არაეს გადჭყრავს) გუემარჯოს კამპანისა.

წუნკალადე. იცოცხლეთ, მამო.

მთხლეიძე. არა, მთი მამა ოხრის შვილი როგორ უტი-
 ვრათ მოვიგუდა თითქოს აქ ალაბი იყვს. ჰა,
 სამაგიეროთ ჩემ თამაღობით უადამატებულე-
 სობისაგან დაჯარიმებულ ხარ ერთი ბაკალი ღვი-
 ნით (გუსებს და წააღვებს).

თხანიძე. გუდასა ჩემსა. (გადჭყრავს).

მთხლეიძე. (გაჰსმებს ჭიქებს და დადინებს): ერთი-კი
 დღე დავლიოთ, დღენი ტკბილათ განვლიოთ,
 სედა დარდი ჩავამსოთ, მტრის თვალები და-
 ვამსოთ. მათი დ... (გუდახი მხაზრულათ აიღებენ
 ჭიქებს და მხაზრულათ გადჭყრენ).

თხანიძე. ალბათ ამიტომაც მიხმეთ და ჰა ჩემი წე-
 რილიც მუხათ არის (წუნკალადეს) მიუტან მამა

მგელიძეს, მონასტრის შესწარიავი რა თქმა
 უნდა მზად უნდა გქონდეს და სხვა დარდი ნუ-
 რაფრისა გაქვს, თუნც სულ თანროლოთ ლაუ-
 ლაუ იძახე, ეგზამენიც მზად იქნება და ჰაი ჯან
 შემოაყოლე ანაფროთ.

მთხლეიძე. მაშ საქმე გაიარებულია, ამა ქანქარი
 აქ არი (დაფრავს დაიგუხე ხელს) თუ გინდ სულ
 ვიცილო მონასტერი და ყველა მისი ამქარი.
 (წუნკალადეს) დღესვე უტყე მაქეთენ, იჯმენ
 დემოკრატებისადა. აქეთ კარგი ნაწინაგები დი-
 კტულუღე, ცისფერ კაბაზე მიხაკის ფერი ანა-
 ფორა ჩიღვანღვალე, წვერიც ხო იცი სხვანაი-
 რათ, ჯიბე ცხრანიართ და წამოიღობინე,
 დღეს ჯიბე და ფულია, სხვაი ყველა ტყულია,
 გაუმარჯოს ხუცესსაო, გავისუქებ მუცელსაო.
 (მთხლეიძეს) არა ჩენო კურთხებაე სახიერო?

თხანიძე. ხა-ხა-ხა-ხა, თქვენ მომიკვდე ამ ბატარა
 ლეკსში მთელი ხუცების სიმბოლო სარწმუნოე-
 ბისა იხატება, ამა ჩენო პოეტო, ჩენო აკაკი.
 (გუდახი იდინავს).

წუნკალადე. ბატონებო, ხუმბობა ღმერთთან ნუ
 მოგიშლიოთ და მე კი ვერ გდავინთი თქვენს
 ამავს. მაშ დღესვე მივიღვარ, ამ ერთი ბაკა-
 ლით თქენის სადღვგრემელსა ვცვაბ.

მთხლეიძე. არა, არა, ეს ღმერთმა ბედნიერი ქნას
 შენი კურთხევა, სირცხვილ-ნაშუსი დავიკარგოს.
 ამას როგორ ვამბობ იცი? ე. ი. დემოკრატ
 ამხანაგების არ შერაცხვენოდეს მეთქი, თუმცა
 აქ რა არის სასირცხვიო, ამა მე კი წმინდა
 წყლის სოციალისტ გავნივარო, ასე რომ მა-
 ღმერთებენ? სრულიადე არა, ერთხელ ჩემი
 უკარო ენის მიზვნით პოლიტიკურ დამანაშვეთ
 მომნათლეს და ციხეში მიტრეს თავი. ეს არის
 და ეს ღღეს ჩემი მანდატი, მარა ჩენი ამხანა-
 გების უმრავლესობის კბილი დათვლილი მაქვს,
 სადაც ავაკლებენ იქვე დაკაენობენ. ხო, უკაც-
 რავათ რჩენი ცოტა გრძელი მომივიდა, ვიმეო-
 რებ ბედნიერ იყოს შენი კურთხევა, ღმერთმა
 სირცხვილ ნაშუსი დავიკარგოს, ალავერდი ბა-
 ტუშუკა (წყაჰს).

თხანიძე. იანშოლი (დგებს ჭიქას) მეც ვაღღვრემელებ
 შენს კურთხევას ბედნიერ იყოს. მოცუეს ღმერ-
 თმა თვალი დაბრიალებული, კბილი გაპარბა-
 ლებულთი, მადა და ღონე გეცლასავით, მრეელი
 ცხვრებსავით, მოხერხება და მოხმარა ყველა
 ამის ჩემსავით. გაუმარჯოს შენს მგზავრობას
 და ჩენს მოსარჩლე რეაქციას, ურბა (შესქაჰს-
 ბენ შევლა ერთათ).

II

სცენა სწარმოვებს ეპისკოპოსის კანცელა-
 რიაში, ფარის ახლისას სკამზე ზის მამა მგელი-
 ძე, წუნკალადე კი სდგას მოწიწებით, პაუზა.

მგელიძე. ამა უკბილობა ნამდვილათ უშლის ლა-
 პარაკს?

წუნკალადე. წარმოიდგინე, ნახევარხელ არაფერი
 გვესმისო, ამბობს მრეელი.

მგელიძე. მაშ რათ უტყერენ მხარს?

წუნკაღიძე. გულ-მოწყალე კაციაო, პენსიაზე კიდევ ცოტადა აულოაო, შვილები ამოსაზრდელი ყავს და გვეცოდნებაო!..

მგელიძე. ახ, გვეცოდნებაო, ერთი მაგათ რა უთხრა, შეიცაღონ და მაშინ ნახავენ, მღვდლის დაყენება ჩენი საქმეა თუ იმათი, ის დრო გაუფრინდათ, ერთი შენი დანოსი გამოძიებით დაადასტუროს მამა თხაიძემ და საბუთი საქმარისი იქნება. იმას პანტურია, შენ იმის ადგილზე გადმოყვანა და ის შენი ადგილი როგორც გინდა გაყიდე, მხოლოდ სამონასტრო ხომ იცი როგორც ვითხარის მზათ უნდა იყოს და შერე კი ჩემო ძმე ხუმრობა ხომ არ არის —ჯამაგირი, დრამა, საწირავი, სალოცავი, სანათლავი, ჯვრის საწერი, აღაპები, ქელხები! ერთი სიტყვით მთელი შრეველის კისერი ტახტი იქნება შენი და შენ კი ზედმადარი მეფე იქნები რაღა.

წუნკაღიძე. გამაღობ მოწყალეო ხელშეიფევე, გამაღობო, დიად სამონასტრო რაღა თქმა უნდა, ერთი სიტყვით ყველაფრამდი მზათა ვარ, კაბაც, ანაფორაც.

მგელიძე. შენც ყოჩად, მარა დაუბადლე თხაიძის პრატეკისს, თორემ შენზედ მომზადებული აქ რამდენი ჩავვიჭრია... სუ პა, ეპისკოპოზი მობობანდება. ხომ იცი როგორ უნდა შეხედე, მოეშაღე.

ეპისკოპოზი. (შემოდის) მშვიდობა ყოველთა.

მგელიძე. (შავარდუას) გეკუთხებ მეუფეო (ხელჯუჯუჯუ).

ეპისკოპოზი. ღმერთმან გეკუთხოს.

წუნკაღიძე. (შოკურტუა, ჯანჯაღუჯუაის ხმით) შენ-დობა მამ-აო სამღვდელეო.

მგელიძე. (ხელს წავრგვს და წასწრფუჯებს): ეს მუნ-დრეკო, ყოვლად სამღვდელეო.

წუნკაღიძე. უხ დასწყველა ღმერთმა, ყოვლად სამღვდელეო მამეო ბატონო, შენდობა.

ეპისკოპოზი. (დამაღათ ჯდებს სჯარქელუმა) არა უშავს, გამოერევა, (წუნკაღიძეს) შეგინდოს ღმერთ-მან. (შეკაღიძეს) რა კენით, ვეზამენით, ამით, იმით მზად არის?

მგელიძე. დიახ, თქვენო მეუფებავ.

ეპისკოპოზი. (წუნკაღიძეს) გიიგე რომ შენზედ დანოსი შემოვიდა. (წუნკაღიძე გაფითრებული მხრებს შეაშეშნის, უხდა რაღაც თქვას, ეხა არ ეპირინდება, მგელიძე წამოყვანდება).

მგელიძე. ვინა, რაო, ყოვლად სამღვდელეო! აღბათ ეინმე სამღვდელეო მიკარავდა.

ეპისკოპოზი. რაო და სოციალ-დემოკრატი არისაო, ახალ თავიბაზე დიკენობას მიაფურთხა და კომიტეტათ იყოფო, ეხლა იმით ლალატობს, შემედღე თქვენ გილაღატებსო.

მგელიძე. მერე რა, თქვენო მეუფებავ, იმ დროში ყველა დემოკრატი ვიყავით, მარა ხომ ღმერთ-მან კი უწყის ჩენც ფორმას და ძალს აყვევით, გულით კი ხომ იცი. დიახ, ესეც თურმე ასე იყო, მარა აწი კი სიკვდილამდე თქვენ მეუფების მონა-მოჩილი იქნება.

ეპისკოპოზი. კარგი, მარა ხომ იცო, წუნკაღიძე, ხა-ხა-ხა, რანარი გვარია, უნდა რაღაც წინასწარ იყო, ვითარცა ძალდი პატრონისა.

წუნკაღიძე. (ჯანჯაღუჯუა) დი-ი-ახ, ბა-ატონო ერთ-თვული ვითარცა, ვითარცა ფინია, თქვენო სამღვდელეობავ.

ეპისკოპოზი. (შეკაღიძეს) მაშ ეს რაკი კომიტეტათ ყოფილა ნამყოფი განსაკუთრებული ფაცი უნდა მიადებინო, იცი ფიცის ფურცელი თითონ დასწერე და ხეალე ვითარე ვეკურთხებ, დიდ ხუთშავათს კი მოვლათ (აჯვებს და გადის. ორაგები მადლობას ნიშნად თავს დახვას ხაიან).

მგელიძე. (წუნკაღიძეს) კაცო, როგორ შეგეშინდა ნუ თუ გურული არა ხარ! ამა შენ რა რვეო-ლითუციონერი უნდა ყოფილიყავი, მარა არა უშავს, ეხლა მე კი ფიცის ფურცელს დავსწერ და უკვე ყველაფერი გატოვ.

წუნკაღიძე. ღმერთი ვადიხობის, ბატონო.

მგელიძე. (შავადს მიუჯდებს და იწყებს წერას, წუნკაღიძე ისევ ფეხზედ დგას, დაფურქუჯუა თავისთვის ბურტუტებს) ეს, დასწყველოს ღმერთმა, რაღაც ახრი დაწვეული მაქვს, როგორ სჯობს... (შეკაღიძე შორებს წერას და მიდის კუთხასკენ) ამა მოდი, დარიქე, დაიფიცე. (შეკაღიძე გათხულობს, წუნკაღიძე იმეორებს): ვფიცე ყოვლის შემძლებელსა ღმერთსა, რომ დლიდან ვიყო კონსერვატორ-რეაქციონერი რომ ზიხლით მოვიგონო შეჩვენებული ერთობის ხანა, არც აროდეს ვიქმე წვერი კომიტეტისა, ვიჯმნი მარქსიზმისაგან, ვაფურთხებ სოციალისტობას, არ შეწამება რა თვინიერ ჯიბე და კუთხისა. დასამტკიცებლათ ამა ჩემის ფიცისა ვემთხვევი ფერთა ყოვლად სამღვდელისა. ამინ.

მგელიძე. ოხ, ძლიეს გათავად, ამა წამოდიკე, გაიხადე მე ემშაკეული ტანოსცელი, ჩიციკაბა.

წუნკაღიძე. კი, ბატონო.

მგელიძე. (თახ ეხმარება გაძრობასზე და თან უკაღობს) ბი-ან-წ-მენდილი-ლხარ განბა-ნი-ლხაარ, იჯმნი მარქსიზმისაგან.

ფარად ეშეება.

შხანკოლა.



ერთი ეშმაკი

(ს. გეზათისაძვის)

ეშმაკთა საბჭოს მოეხსენება,
 გაზეთები, თუ კერძო ჩვენება,—
 ერთხმად ღაღადებს, აქაურ ამბავს,
 (ვინ ვინდათ, გლახებს არ აძრობდენ ტყავს?)
 ვადასახადი, თუ სხვა ბევრად,—
 წელს იწყებენ,— მაინც ვერ მოავგვარა...
 რომ შიმშილობაც აქეთ ხშირია
 და შეშწობა ახლა გვეჭირია.
 მაგრამ სად არის? „მოძღვარს“ მიმართეს,
 „რომ ტყლიბიანობსო“ ხალხის წილ ფართეს
 და „ქრისტეს მცნება“ აერაგო პირზე,—
 დაგვეხმაროსო ჩვენს ვასაქირზე“... —
 ამბობდა ხალხი, — ის ღვთის კიცია,
 მიუგზავნათო დებუტაცია“.
 და მართლაც, სამი ამორჩეული,
 (მათ შორის ერთი ეშმაკეული),
 წარუდგენ ხუცესს მოკრძალებითა
 და მოახსენეს ხალხის ნებთია,
 რომ „საწყსო“ მისი დამშეულია,
 გვაპატივეთო ღრამა-ფულია.
 თქვენ სხვაც გეყოფათ: საწირავეები,
 სათბილო, ბეჭი, თუ ცხვრის თავები,
 ჯვარის საწერი, მოსანათლავეი,—
 აქ ძველებურათ აძვრეთო ტყავი...“
 მაგრამ ხომ იცნობთ ლუარსაბ მამას?
 „რაებს ამბობთო, შვილებო ამას“, —
 გაიძახოდა ნაკურთხი გავი,
 (ძლივსღა იძროდა პასკა ნაქამი),—
 „როგორ იქნება?... აქ ღრამა-ფული,
 ხეთისგან არისო დაწესებული.“),
 კაპიკს ვერ დაეთმობ, ვადახდითო,
 ძველ წესისამებრ,— იმავ რიგითო...“
 და ლაპარაკის აღედრა მადა..
 (აქ რაღაც „ბუნტიც“ წამოტელანდა).
 მაგრამ ვათავდა ამით სტუმრობა,
 (სახიფათოა ზოგთან „ხუმრობა“);
 რომ ვადაგვიკიდოს მოულოდნელ ქარს,
 ვინ „ამოიყვანს ტლახიდან ვირს“?..

ამბავი ესე, ვისაც ჯერია, —
 ქართულ გაზეთში ჩაუწერია
 და ლუარსაბმა რომ წაიკითხა, —
 ხალხი შეჰპარა, მათ შეეკითხა:

(* რისთვის დასწამა უბრალოდ ცილი?
 თითქო! ამაში ღმერთს ელას წილი...)

„თუ ვინ ჩასწვრა და ან რისკუდისა...
 ნუ დამიშალავთ, ღვთის გულისთვისო...“

მის ვინაობას თვე არის მივლი,
 იკვლევდა, როგორც პოლიციელი.
 დედაც ავინა, ხევაც, — ვინც ებადა...
 (ასე ქონია ჩვეულებად).

მაგრამ აქ ეშმაკს განა ეძინა
 განკარგულება არ მოეცდინა?!
 რომ არ დასრულდა ღანძლე ვინება, —
 მანაც დაჰკარგა წამს მოთბინება...
 ოთხი, თუ ხუთი შწარეთ უჭირა,
 (მელრამე მოძღვარს ყოფა უჭირა)
 და გულის წადილს რა მიახწია,
 საარევიზიოთ სხვაგან გასწია...

ახლათ მოსული.



დეპეშები

ქობულეთი. ეკლესიის გალავნიდან მღვდლის ძროხებმა გადმოსასვლელი ვერ იშოვეს და უწყლობა ძლიერ გაუჭირდათ. ამის გამო თხოვნით მიმართეს ძროხებმა დანიკვანს და საქმეც მომავალ სტომაზედ არის დანიშნული.

— გუშინ, ორშაბათს ვადახდელ იქმნა წირვა-პანაშვიდი აქაურ საამხანაგო დუქნის სულის მოსახსენებლად. კელღების გამოხსენება მოხდებდა ხვალ. (თავგებთ თვინათი სურსათით და ციხე-სიმაგრეებით ბანკს შენობაში ბინავდებოთ).

— ავღლომბრივი ბანკი ყვეილით ავად გახდა. მოიწვიეს სხვა-დასხვა ქალაქებიდან ამკრელები, მაგრამ ვინაიდან ასაკარი ნეშტერის სასყიდი შეძლებდა ბანკს აღარ აღმოაჩნდა, ამკრელები წავიდნენ.

სიღნაღი. როგორც დანამღვილებით იტყობინებინ ბერლინიდან ის, „მაკრატელი“, რომელიც ვაზ. „ხმა კახეთის“ რედაქციას ჰქონდა გამოწერილი გაზეთების საქრელად ომის გამო, — ვეღარ

სოფლის მუქა

მოუფა და ჯერ-ჯერობით ისევ ძველი „მაკრატლით“ უნდა წვიდეს იოლად.

— გაზ. „ხმა კახეთის“ ვაგრცელებამ დაიკლო, მიზეზი „უმაკრატლობაა“.

ის-მე.

ნატანები. აქაურ მეეტლებს ჯავრი მოსდით, რომ გივიგს ოზურგეთში რკინის გზა მიდისო. ბევრ იმათგან „პახუსის“ წყალობით თავ-რეტი დაესხა. ელიან მწარე მომავალს და დარდების გასაფანტავად კნუტს წარა-მარა უტყლაშუნებენ მკლვე ცხენებს.

კრონოსი.

ს. ზნაკვა. მარიობის მოსპობის გამო აქაურ ქალებში და ზოგიერთ კაცუნებში დიდი გლოვია. გაღას წყვიტეს გლოვის ნიშნათ სამ თვეს პირში არაფერი ჩაუშვან, თავზე ნაცარი იყარონ და მარცხენა ფეხებზედაც სამგლოვიარო შავი შემოიკრან.

ს. ჩორჯო. დიდის ზარით და ზეიმით გადავიხადეთ ტრადიციული ახალკვირე. ამდენი ხარჯი არც თამარ დედოფლის ქორწილზე იქნებოდა. სულ ძაბრებით ვასხამდით ერთი ენორეს ალექსანდრეულის ლეინოს. მოკვლით კი ერთი წვრილი ცოშვლილიანი კაცის მეტი ვერ მოვკალით, მაგრამ გულს არ გავიტებთ, იმედია ვაისისთვის დიშრთი მეტს შეგვაძლებინებს.

ს. აშროლაური. აქაური სამკითხველო სიკვდილზეა მიმდგარი, ამიტომ საჩქაროთ გამოიწვიეს ხუტესი, რომელმაც უკვე აზიარა. როგორც ამბობენ, შავი ქირი უნდა სჭირდეს, რომელიც ვითომ სადემლის სამკითხველოდან დამშუულ თავებს უნდა გადმოეტანოს.

კვახი.

ზრდილობის სკოლა

სპარსეთის სახელოვანი მგონის საადის წიგნში „გულისტანში“ დაწერილია შემდეგი:

„ერთის ბრძენსა ჰკითხეს: სადა და როგორ შეიძინე ეგ საოცარი ზრდილობა“.

ბრძენმა უპასუხა: „ზრდილობა უზრდელ ხალხმა მისწავლა“.

როგორაო, კვლავ ჰკითხეს ბრძენსა.

ბრძენმა უპასუხა: უზრდელ ხალხში ვსცხოვრობდი, ვაკვირდებოდი მათ უზრდელ ყოფა-ქცევისა და უზრდელ სიტყვა-პასუხს და ვცდილობდი არ ჩამეღინა ის, რასაც ისინი სწადიოდნენ და არ მეთქვა ის, რასაც ისინი ამბობდნენ.

ნურავის ნუ მოერიდებით და ეცადეთ ისარგებლოთ ყოველივე გარემოებითაო, — გვასწავლის საადი.

რიერაგია, შშის სხივები შავსა წყვილად ჰკვეცენ ფრთებსა, ოკროს ფერი გვირგვინებში თავს უმკობენ ამაყ მთებსა.

თვალებს იფუნეტს არე-მარე და იღვიძებს მთა და ბარი, თოხით ხელში სამუშაოთ მეც ყანისკენ მივიჩქარი.

შავალ იქით, საღ შარშანაც ვმუშაობდი ქედ წახრილი, ოფლის ღვართი დამწვარ გულ-მკერდს მიამებდა სიო გრილი.

ემუშაობდი იმდრონათ ვერ მაკრთობდა ტანჯვა-ურვა, მწამდა ნაყოფს მოიტანდა კეთილ შრომით ოფლის წურვა.

მაგრამ კრულმა წელიწადმა ბედ შავს ხელი შემინალა ჩემი ნაშრომ ქირანახლის მან მოწვევა არ მაცალა.

აიშალა ღრუბელთ გროვა მოპირქეშდა ცა კრილა, ცეცხლის ზოლმა გაილევა სტიქიონმა იგრილა.

დასცა მეზი დედა-მიწას მოსკდა მთიდან ნიაღვარი, მთლად წაღოცა ჩემი ყანა და დამტოვა გულ დამწვარი.

აქ ზამთარმაც მოაღწია ქირი-ქირზე მომემატა სულ საზრდოში მივეც ჩარჩებს რაც გამანდა, რაც მეებადა.

ებლა კვალად გაზაფხულდა ტყე ფოთლებით შეიმოსა, მწვანე რიდე გადაეკრა დღემდის ტიტველ მიდამოსა.

კვლავ იღვიძებს დედა-მიწა დგება ისევ შრომის ხანა და მეც მიტომ მივიჩქარი, მსურს დავეთესო კვლავ ის ყანა.

მსურს კვლავ მოვწყო იგი ოფლით მოიხადო ჩემი ვალი, წარსულმა რაც მახარალა მწუამს მომიხდაც მომავალი.

და თქვენც, ძმებო, ვაიღვიძეთ ხელი მიჰკეთ ბეჯით შრომის ნუ ეძლევით ასეთ ღროშის ლოთობასა და განცხრომას.

ლი შუაქანა

(ჩიბათის ნასტარზინალს, ჯერ კი მამასახლისის მახარებელ კვაძაძეს)

შენსა მზესა, მახარებულო,
რათა ფუტკობ, საყვარელო!

მითრახი რომ ცოტა ისევე
ავი გულით კი არ გიქენ.

გუშხამდელს ჩვენს ამხანავსა
ვითომც ხალხის შეგობარსა,

დღეს კი რაფა გაგაღწაღვიდ—
რაფა ვიტყვი ქრთამს რომ ჰამიდი,

სოფლის ფულუმს იჯიბებდი,
გლებუმს დედას ავინებდი?!

ის კი არა, სულ ვაქტილი
გზებს რომ არსად აკეთებდი.

ჰო და ტყვილით, მახარებულო,
წაგებუმრე, შე სულელილო!

აკი ბრძანეთ: ქუჩურ ყურნალს
არ ვაკადრებ ბრწყინვალე თვალს!

სარჯველამეს რას ერიოდი,
გიჯაშუმებ—ეჭადნოდი?!

გენაცვალე, მე ვერ მკითხე,
აგერა ვარ არამკითხე.

მერე რა გსურს, ფინა ქუც-ქუც,
ჯაჰვი გნაცეს, ხვალ ლოლუე ქუც.
კვლავ ქეჩხო და ბლარტი, ბლარტი,
ქალამნებით ჩლარტი, ჩლარტი.

შენი არამკითხე.



ინგლისის მეომარნი

იყიდება გასული წლების ყურნალები:

- 1) „შუაქანის მითრახი“ 1907 წ. 13 ნომერი 1 ჰ. 30 კ.
- 2) „იმეშ. მითრახი“ 1908-1909 წ.წ. თითო წიგნი 34 ნომერი 2 ჰ 50 კ., ორივე წიგნი მშვენიერი ყლით ელირება—6 მან.
- 3) „მითრახი“ 1910 წლის 34 ნომერი—2 ჰ. 50 კ.

- 4) „აღმანაბები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.
- პროვინციაში მსურველთა გაცემად ჩვენის ხარჯით ვინც წინა წინ გამოგზავნის ფულს ან ფასადებით ვაიწერს.
- აღრესი: თიფლისი, ტიპოგრაფია შრომა, გეოფილუ ბოლკვალზე.